ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4898008

ნომერი: AR1733857

თარიღი : 11.02.2020

გაცემის თარიღი : 13.03.2020

გაცნობის თარიღი : 15.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 11 თებერვალს №AR1733857 განცხადებით მომართა ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 16

დეკემბრის №4792738 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნუცა ღოღობერიძის ქუჩ №9, შპს ,,ბალტიკ ინვესტმენტ გრუპ“- ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.14.12.003.130), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 16 დეკემბრიდან 2021 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებით შეთანხმებულ +6.96 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე ბინა №46-ის და +14.12 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე ბინა №35-ის ჯამური ფართობი არასწორად არის მითითებული და შესაბამისად ითხოვს აღნიშნული შესწორებული გეგმების ჩანაცვლებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებით შეთანხმებულ +6.96 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე ბინა №46-ის და +14.12 ნიშნულის გეგმის ექსპლიკაციაზე ბინა №35-ის ჯამური ფართობები არასწორად იყო მითითებული, ხოლო 2020 წლის 11 თებერვლის №AR1733857 განცხადებაზე წარმოდგენილია +6.96 და +14.12 ნიშნულის გეგმები შესწორებული ექსპლიკაციებით. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ექსპლიკაციების დაზუსტება, რაც გავლენას არ ახდენს ბრძანებაში დაფიქსირებულ ფართობებზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +6.96 და +14.12 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2020 წლის 11 თებერვლის №AR1733857 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4792738 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.